

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

გიორგი ბაციკაძე

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების
განვითარება (1905-1921 წწ.)

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ავტორეფერატი

ბათუმი

2025

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი ითარ გოგოლიშვილი

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

შემფასებლები:

ჯემალ კარალიძე

ისტორიის დოქტორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

სულხან კუპრაშვილი

ისტორიის დოქტორი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ლევან ჯიქია

ისტორიის დოქტორი

საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული
ლექტორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება 2025 წლის 26 დეკემბერს 16:00 საათზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შეიძლება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის ანოტაციისა - ამავე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.bsu.edu.ge).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი მ. კიკვაძე

კვლევის მიზანი და აქტუალობა

მე-20 საუკუნის პირელი ათწლეულების საქართველოს ისტორიის რიგი საკითხები და 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დიდი ხანია რაც ქართველი და უცხოელი მეცნიერების აქტიური ინტერესის საგანია. დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება კი უკვაშირდება იმ იდეოლოგიურ ჯგუფებს, რომლებიც საუკუნეთა მიჯნაზე მიმდინარე საზოგადოებრივი განვითარების კალაპოტში აღმოცენდნენ და შექმნეს ქართული პოლიტიკა და დემოკრატიული სახელმწიფო. კვლევის მიზანია შეისავლოს ქართული საზოგადოებრივ პოლიტიკური აზროვნების განვითარება 1905-1921 წლებში და უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

- რისთვის იბრძოდნენ პოლიტიკური პარტიები?
- რა ადგილი ჰქონდა მათ მოქმედებებში საზოგადოებრივ აზრსა და რეალობას?
- როგორ და რა მიზეზებით ვითარდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება?
- როგორ სახელმწიფოს აშენებდა პირველი ქართული დემოკრატია?

1905-1921 წლების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შესწავლა აქტუალურია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა პირველი პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი განვითარების ის გზა, რომელმაც ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში პირველად შექმნა პლურალისტური და დემოკრატიული სახელმწიფო. პირველი რესპუბლიკა თავისი თავისუფლების ხარისხით, დემოკრატიული და ცივილური მახასიათებლებით დღესაც საყურადღებო მოვლენაა ქართულ რეალობაში, მისი შემოქმედი კი ის საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრია, რომლის ურთიერთდამოკიდებულებამაც განსაზღვრა ამ სახელმწიფოს არსი. მეორე მხრივ, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წელს. პირველ და მეორე რესპუბლიკებს ბევრი რამ აქვთ საერთო სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და საერთაშორისო

ურთიერთობების თვალსაზრისით. დემოკრატიული განვითარება, პარტიული თანაცხოვრება, ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთებება, მსგავს საერთაშორისო ურთიერთობებში წარსული მიდგომები, მიზნები და პრინციპები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ცალკეული მახასიათებლების გავლენა ისტორიაზე ის საკითხებია, რომლების აწონ-დაწონა, განალიზება და გათვალისწინება დადებითი, ზოგჯერ კი აუცილებელია დღევანდელობისთვისაც, რაც თემის პრაქტიკულ აქტუალობას ზრდის. ამასთანავე, წარმოდგენილი კვლევა მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ფუნდამენტური შესწავლის პირველი შემთხვევაა, სამეცნიერო წრეებისთვის საინტერესო ისტორიული საკითხების განმსაზღვრელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მისწარფებების, მისი შინაარსისა და მიზნების კვლევა კი, ვფიქრობთ, ნაშრომის სამეცნიერო აქტუალობას განსაზღვრავს და იმედისმომცემ საფუძველს შექმნის ამ მიმართულებით კვლევების გასაგრძელებლად.

მეთოდოლოგია

ნაშრომი უპირველესად მიზნად ისახავს ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიისა და მოღვაწეობის კავშირის კვლევას საზოგადოებრივ მისწრაფებებთან, რისთვისაც გაანალიზებულია პარტიათა პოლიტიკური პროგრამები და მათი მიზნები, სიღრმისეულადაა შესწავლილი საზოგადოებრივი აზრი, ხალხის მოთხოვნები და ის პრობლემები, რომლებიც აღნიშნული საკითხების შესწავლის შემდეგ გაანალიზებულია საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვექტორების თანხვედრის შინაარსი, ის თუ როგორ აისახებოდა სახალხო მისწრაფებები პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობაში და რა ფაქტორები განსაზღრავდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ევოლუციას.

ისტორიზმის, მონაცემთა ანალიზისა და შედარებითი მეთოდები საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ წამოჭრილ კითხვებს. ნაშრომის ბოლო ეტაპზე განვიხილავთ ბოლოდროინდელი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შედეგსა და პრაქტიკული განხორციელების მაგალითს - საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ანალიზი ეხება იმ საკვანძო საკითხებს, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ

წარმოაჩენენ თუ როგორ სახელმწიფოს აშენებდა პირველი ქართული დემოკრატია, აღნიშნული საშუალებას გვაძლევს პრაქტიკული მაგალითებით განვსაზღვროთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების კონკრეტული შინაარსი, ავტონ-დავწონოთ პოლიტიკური ელიტის მიზნები, მოღვაწეობის არსი, მისი თანხვედრა საზოგადოებრივ მოთხოვნებთან და შედეგები, როგორც ისტორიული მაგალითი.

სამეცნიერო სიახლე

მე-20 საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება, განსხვავებით წინა საუკუნეებისგან, სამეცნიერო დონეზე გამოკვლეული არ არის. წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაცია იქნება საკითხის ფუნდამენტური კვლევის პირველი ცდა, რაც სიახლე იქნება სამეცნიერო სივრცისთვის და ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელებას. გარდა ამისა, ნაშრომში ახლებური, ავტორისეული პრიზმითაა შესწავლილი 1905 წლის რევოლუციის მეტად საინტერესეო დეტალები, სიღრმისეულადაა გაანალიზებული ავტონომიისა და ეროვნული საკითხის პრობლემების ანატომია, პოლიტიკური პარტიების ევოლუციის წინაპირობები, მისი არსი, თანხვედრა შიდა საზოგადოებრივ აზრთან და საერთაშორისო მოცემულობასთან, ნაბიჯ-ნაბიჯაა წარმოჩენილი ის პროცესები, რაც უშუალო გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარებაზე, მოცემულია ამ პროცესის მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი, საერო და სახელმწიფოებრივი შედეგები. ნაშრომის ბოლო თავში ავტორისეული კვლევის პრიზმითაა შესწავლილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის კონცეფცია, საზოგადოებრივი განვითარების ვექტორები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელიტის მახასიათებლები, პრობლემები და ისტორიული მნიშვნელობის მაგალითები.

დისერტაციაა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს ბევრი აქამდე უცნობი და მეტად საყურადღებო მასალა საარქივო დოკუმენტებისა და პერიოდული პრესის მასალების სახით, რაც მაშრომის სამეცნიერო ღირებულების ერთ-ერთ საყურადღებო ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს, კვლევასი გამოყენებული 450-მდე წყაროსა და

ლიტერატურას შორის თითქმის 3/4 პირველწელია, მათგან 100 საარქივო დოკუმენტი, რაც მნიშვნელოვნად ავსებს საკვლევის პერიოდის ისტორიის რიგ საკითხებს.

იდეის განვითარება

ნაშრომში ვითარდება იდეა, რომ საზოგადოებრივი აზრი ცალსახად აყალიბებდა პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობის ვექტორებს, რომელებიც, თავის მხრივ, წარმოადგენდნენ ხალხის მოთხოვნებს პოლიტიკურ სივრცეში. ქართული პოლიტიკური აზრისთვის წამყვან როლს თამაშობდა საზოგადოების მისწრაფებები, ვიდრე იდეოლოგია. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნების განვითარებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენდა საერთაშორისო ვითარება. პარტიებს შორის ანტაგონისტური იდეოლოგიური დაპირისპირებების ფონზეც კი მოიძებნებოდა თანამშრომლობის საშუალებები, რასაც სახელმწიფოებრივი ინტერესები განაპირობებდნენ, ეს კი ქართულ პოლიტიკურ კულტურას აყალიბებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაეფუძნა იმ საზოგადოებრივ მოთხოვნებსა და მისწრაფებებს, რაც ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გაღწერდა. პირველი რესპუბლიკა ყალიბდებოდა გამორკვეული კონცეფციის შესაბამისად, იგი იყო მკაფიოდ ეროვნული, დემოკრატიულ და თავისუფალი საზოგადოების განვითარებაზე დაფუძნებული სახელმწიფო.

წყაროები და ლიტერატურა

დისერტაციაში გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურა შედგება 450-მდე ერთეულისგან, მათ შორის 102 საარქივო დოკუმენტი და ხელნაწერია, 195 პერიოდული პრესა, 34 სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ქართული და უცხოური დოკუმენტური მასალა, 80 მონოგრაფია, წიგნი, დისერტაცია და მემუარები და 30-ზე მეტი სამეცნიერო სტატია. ქართული პოლიტიკური პარტიების ისტორია საფუძლიანადაა გამოკვლეული, ამდენად, ამ თემის ირგვლივ პარტიულ პრესასთან და მემუარებთან ერთად, გამოვიყენეთ დიმიტრი შველიძის, ვახტანგ გურულის, მერაბ ვაჩნაძის, სტივენ ჯონსის, ოთარ ჯანელიძის, შოთა ვადაჭვილის და სხვათა

ფუნდამენტური შრომები. რევოლუციისა და შემდგომი პროცესების შესწავლისას უმთავრესად ვეყრდნობით პერიოდული პრესის ფაქტობრივ მასალებს, საარქივო დოკუმენტებსა და მემუარულ ლიტერატურას. ჟურნალ-გაზეთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მოგზაური“, „ამირანი“ და ა.შ., იმჟამინდელი ჟურნალ-გაზეთები გამოირჩევან ინფორმაციის სიუხვით. ზოგადად, პრესა მრავალფეროვან, სიღრმისეულ და ერთობ საინტერესო მონაცემებს გვაწვდის. საარქივო მასალების შემთხვევაში, ამ ნაწილში ვეფუძნებით საისტორიო ცენტრალურ არქივში მოპოვებულ მეტად მნიშვნელოვან და საყურადღებო მასალებს, კერძოდ: თბილისის გუბერნატორის კანცელარიის (ფონდი N17), უშიშროების კავკასიისა და თბილისის განყოფილებების, იგივე „ოხრანკის“ (ფონდი N94 და N95) და თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს (ფონდი N153) ფონდებში დაცულ დოკუმენტებს. საარქივო დოკუმენტები და პრესის მონაცემები ედრებიან და ავსებენ ერთმანეთს. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ქართველი დეპუტატების მოღვაწეობის შესასწავლად უმთავრესად გამოვიყენეთ სათათბიროს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები, რომლებიც სესიების დასრულებისთანავეა გამოცემული და თემის ირგვლივ პირველწყაროს წარმოადგენს.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობის, დამოუკიდებლობის გამოცხადების, პირველი არჩევნებისა და დემოკრატიული რესპუბლიკის წლების პვლევა განვახორციელეთ ძირითადად საარქივო დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც მიკვლეულია საისტორიო არქივში დაცულ ეროვნული საბჭოს (ფონდი N1836), საარჩევნო კომისიის (ფონდი N1834), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეთა მმართველობის (ფონდი N1861), შინაგან საქმეთა სამინისტროს (ფონდი N1863), საგარეო საქმეთა სამინისტროს (ფონდი N1864), მიწათმოქმედების სამინისტროს (ფონდი N1915), სახალხო განათლების სამინისტროს (ფონდი N1935), სამხედრო სამინისტროს (ფონდი N1969) და ა.შ. ფონდებში. მათ შორის ზოგიერთი მეტად საინტერესო ცნობა და დეტალი პირველად შემოვა სამეცნიერო მიმოქცევაში.

გარდა ამისა, აღნიშნულ შემთხვევაშიც, სრულყოფილად დავამუშავეთ პერიოდული პრესა და საკვლევი თემის ირგვლივ საყურადღებო მასალებს მოვუყარეთ თავი. 1918-1921 წლების საკითხები დიდი ხანია, რაც ქართველი და უცხოელი

მკვლევრების განსაკუთრებული ყურადღების საგანია, შესაბამისად, არსებობს მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის ბევრი ეხება ჩვენთვის საინტერესო ცალკეულ საკითხებს. ამდენად, სადისერტაციო ნაშრომში ვიყენებთ შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებს. ყველაფერთან ერთად, აღსანიშნავია მემუარული ლიტერატურა, რაც საინტერესოდ ავსებს დანარჩენ წყაროებსა და მონაცემებს, მათგან აღსანიშნავია გრიგოლ ურატაძის, თენგიზ ქლენტის, ნოე ქორდანიას, გიორგი ლასხიშვილის, რევაზ გაბაშვილის და სხვათა მოგონებები.

სტრუქტურა

დისერტაცია მოიცავს 223 გვერდს. შესავალში აღწერილია კვლევის თემა, მიზნები და ამოცანები, განხილულია თემის შინაარსი, მისი მნიშვნელობა და აქტუალობა, საკვლევი პერიოდისა და მასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენები. ამასთანავე, განხილულია საკითხის შესწავლის მხრივ არსებული მოცემულობა, წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა, რომელსაც ეფუძნება კვლევა, შესავლის ბოლოს მოცემულია სამადლობელო სიტყვა კვლევის პროცესში აღმოჩენილი მხარდაჭერისათვის.

დისერტაცია შედგება ოთხი თავისგან და 34 ქვეთავისა და პარაგრაფისგან. ნაშრომის სტრუქტურა მიჰყვება შესავალში მოცემულ მიზნებსა და ამოცანებს, თითოეულ თავს ერთვის დასკვნა, ნაშრომის ბოლოში მოცემულია შემაჯამებელი დასკვნა და გამოწყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ჩამონათვალი

საკვლევი საკითხის სპეციფიკისა და შინაარსის გათვალისწინებით, დისერტაცია შექმნილია შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

წინასიტყვაობა

თავი I. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში

I.1. სოციალ-დემოკრატები

I.2. სოციალისტ-ფედერალისტები

I.3. ეროვნულ-დემოკრატები

I.4. სოციალისტ-რევოლუციონერები

I.5. ანარქისტები

დასკვნა

თავი II. 1905 წლის რევოლუციიდან პირველ მსოფლიო ომამდე

II.1. რევოლუციის ხასიათი და მასშტაბები

II.2. მოთხოვნები და მისწრაფებები

II.3. „რევოლუცია“ ეკლესიაში (1905-1912)

II.4. რევოლუციის შემდეგ

II.5. ავტონომიის პრობლემა

II.6. „სახელმწიფო“ სახელმწიფოში : გურიის რესპუბლიკა

II.7. პირველი სახელმწიფო სათათბირო (1906 წელი)

II.8. მეორე სახელმწიფო სათათბირო (1906)

II.9. მესამე სათათბირო (1907-1912 წწ.) : ეროვნული ინტერესებისთვის მებრძოლი ინტერნაციონალისტები

II.9.1. არჩევნები

II.9.2. სათათბიროში

II.10. ოპოზიცია სათათბიროს გარეთ (1907-1912)

II.11. მეოთხე სახელმწიფო სათათბირო (1912-1917) : პოლიტიკური გამოცდა ფედერალისტებისთვის

II.12. ხიზნების საკითხი

დასკვნა

თავი III. ახალი ძალა ბალანსი : ძვრები დამოუკიდებლობისკენ

III.1. ეროვნულ-დემოკრატია

III.2. ეროვნული ძალები საზღვარგარეთ

III.3. ავტონომია - განხეთქილებიდან თანხმობამდე

III.4. ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა - მოულოდნელი დამოუკიდებლობა
დასკვნა

თავი IV. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გზა (1918-1921)

IV.1. ნეიტრალიტეტის მანტიით

IV.1.1. საერთაშორისო მიზნები

IV.1.2. აქტიური რეგიონული პოლიტიკა

IV.2. პოლიტიკური თანაცხოვრება შინ და გარეთ

IV.3. სახელმწიფო, რომელსაც აშენებდა პირველი ქართული დემოკრატია

IV.3.1. მთავარი საფრთხე და უსაფრთხოება

IV.3.2. აგრარული რეფორმა, ანუ სოციალ-დემოკრატიული გამოსავალი

IV.3.3. განათლება - მომავლის შენების პატრიოტული შტრიხები

IV.3.4. ეროვნული საკითხი

IV.3.5. საზოგადოებრივი განწყობები

IV.3.6. ქართული დემოკრატიის შარავანდი : 1921 წლის კონსტიტუცია

დასკვნა

შემაჯამებელი დასკვნა

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

თავი I

პირველ თავში განხილულია ქართული პოლიტიკური პარტიებისა და იდეოლოგიური მიმდინარეობების ისტორია, არსი, პოლიტიკური პროგრამები და მიზნები. მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში სხვადასხვა მიმდინარეობა ძლიერდება და რამდენიმე პარტია ყალიბდება, საფუძველი ეყრება მრავალფეროვან და პლურალისტურ გარემოს, აღნიშნული საკითხის შესწავლა საშუალებას გვაძლევს ვუპასუხოთ კვლევის პირველ ამოცანას თუ რა მიზნებს ემსახურებოდნენ პირველი ქართული პოლიტიკური პარტიები და სად იყო ამ მიზნებში საზოგადოება, ხალხი. ამ პერიოდში განსაკუთრებით იმპლავრა სოციალიზმა, იგი ერწყმება ადგილობრივ საზოგადოებრივ რეალობას და ჩამოყალიბებას იწყებს ქართული სოციალიზმი, რომელმაც ევოლუციის თვითმყოფადი გზა განვლო. ეს უკანასკნელი მიმართულება უპირატესობას ანიჭებდა კლასობრივ ბრძოლას, იგი, ფაქტობრივად, ხდება მე-19 საუკუნის მერე ნახევარში „თერგდალეულების“ სახელით ცნობილი საზოგადო მოღვაწეთა ეროვნული კონცეფციის მოწინააღმდეგე, რომელიც მიზნად ისახავდა სხვადასხვა სოციალური კლასების შერიგებას.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უმრავლესობა მემარცხენე მიმდინარეობების სახით იყო წარმოდგენილი. ამ მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და ესერები. მემარჯვენეთა ბანაკს განეკუთვნებოდნენ ეროვნულ-დემოკრატები, რომლებიც „თერგდალეულების“ იდეურ ხაზს აგრძელებდნენ და განსხვავებით სოციალისტური პარტიებისგან, რომლებიც კლასთა ბრძოლას ემხრობოდნენ, ყველა კლასის შერიგებისა და გაერთიანების ინიციატივით გამოდიან.

ქართველი სოციალ-დემოკრატები და ესერები რუსეთის შესაბამის პარტიებს შეუერთდნენ, რაც მათ უფრო ფართო, რუსეთის იმპერიაში არსებული მოძრაობების ნაწილად აქცევდა. დამოუკიდებელი ქართული პარტია მხოლოდ ფედერალისტებმა შექმნეს. მიუხედავად იმისა, რომ ფედერალისტები ზოგადად მემარცხენე პოზიციებს იზიარებდნენ, ისინი ცდილობდნენ, რომ მემარცხენე ფრთის ყველაზე მემარჯვენე ძალა ყოფილიყვნენ, ამით კი უფრო ეროვნული მიმართულება აედოთ.

აღსანიშნავია, რომ ყველა პარტიის თეორიულ თუ პრაქტიკულ სამოღვაწეო მიზნებში ცენტრალური ადგილი დაიკავა უბრალო, მმრომელი ხალხის ინტერესებმა. პარტიები თავიანთ საქმიანობას უკავშირებენ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას, რომლის ძირითადი მიზანი იყო ხალხის უფლებების დაცვა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. პოლიტიკური პროგრამა მაქსიმუმის თვალსაზრისით, ყველაზე მემარჯვენე ძალაც კი, საქართველოს ავტონომიით შემოიფარგლებოდა. სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყანა იყო და ეს ბრძოლა სოციალურთან ერთად იყო პასუხი ძალადობრივ დაქვემდებარებაზე, მაინც სეპარატიზმთან ასოცირდებოდა.

ქართულ პოლიტიკურ ძალებს შორის საერთო ნიადაგის მოძებნის ცალკეული მცდელობები ამ ეტაპზე კრახით დასრულდა. უფრო მეტიც, ამ ეტაპზე მემარჯვენე და მემარცხენე ფრთებს შორის დაპირისპირებამ სრული ანტაგონიზმის სახე მიიღო. კლასობრივ ბრძოლაზე ორიენტირებული სოციალ-დემოკრატები შეუძლებლად თვლიდნენ კლასთა შერიგებას. ისინი ეროვნულ საკითხს მეორე პლანზე წევდნენ, რამდენადაც მისი მოგვარების წინაპირობად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას უკავშირებდნენ, განსხვავებით ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატებისგან, რომლებიც სამოღვაწეო ასპარეზზე ეროვნული დროშით გამოვიდნენ. ამასთანავე, სოციალ-დემოკრატებისთვის, სუსტი საზოგადოებრივი განვითარების პირობებში, საქართველოს ავტონომია იყო თავად-აზნაურთა ბატონობის შენარჩუნების საშუალება. ამ ნიადაგზე აღმოცენებული დაპირისპირება ორმხრივ შეურაცხყოფაშიც გადაიზარდა. იდეოლოგიურ ბანაკებს შორის ამტყდარმა პუბლიცისტურმა ომმა ავტონომისტებს ფეოდალთა ინტერესების დამცველთა იარღიყი მიაკერა, სოციალ-დემოკრატებს კი ინტერნაციონალისტების.

თავი II

მეორე თავი ეხება 1905 წლიდან პირველ მსოფლიო ომამდე პერიოდს, მასში შესწავლილია საზოგადოებრივი აზრი, დეტალურადაა გაანალიზებული საზოგადოების მისწრაფებები, ხალხის პრობლემები და მოთხოვნები. აღნიშნული

საკითხის შესწავლის შემდეგ გაანალიზებულია საზოგადოებრივი აზრისა და პარტიების მოღვაწეობის თანხვედრის საკითხი, მათი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და პოლიტიკური საქმიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები. ეს კი საშუალებას გვაძლევს ვუპასუხოთ კვლევის მიზნის სრულყოფისთვის წამოყენებულ მომდევნო ამოცანებს და დავასკვნათ თუ რა ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ მოქმედებებში საზოგადოებრივ აზრსა და რეალობას, როგორ და რა მიზეზებით ვითარდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება. მოცემულ პერიოდში განვითარებული მოვლენები ყველაზე ნათელი და ხელჩასაჭიდი საშუალებებია ზემოთ ხსენებული საკითხების შესასწავლად, 1905 წლის რევოლუციის მიზეზებისა და შინაარსის კვლევა ყველაზე მკაფიო სურათს გვაძლევს იმისას, თუ რა მისწრაფებები არსებობდა საზოგადოებაში, რა აწუხებდათ და რისთვის იბრძოდნენ ისინი. ამ საკითხის სიღრმისეულად შესწავლამ კი საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობა, რომელიც ვითარდებოდა როგორც რევოლუციის პარალელურად, ისე მის შემდეგ.

1905 წლის რევოლუციური მოძრაობა ფართოდ გავრცელდა მთელ საქართველოში. სოციალურმა უთანასწორობამ, ეკონომიკურმა პოლიტიკამ და ეროვნულმა ჩაგვრამ წარმოშვა ხალხის უკმაყოფილებისა და რევოლუციის საფუძველი. პოლიტიკური პარტიების საქმიანობამ პროტესტს შედარებით ორგანიზებული სახე მისცა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვექტორები ერთმანეთს შეერწყა. სახალხო რევოლუციის მასშტაბებმა ქართველი სოციალ-დემოკრატები იდეალისტური მიდგომიდან მყარად დააყენა რეალისტურ რელსებზე და ისინი სათავეში ჩაუდგნენ მუშურ-გლეხურ მოძრაობას, რამაც მათი პრესტიჟი და გავლენა მნიშვნელოვნად გაზარდა.

საერთო მისწრაფებები, რისთვისაც ხალხი იბრძოდა, ეხებოდა ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს და იდენტური იყო მთელი საქართველოს მასშტაბით. ხალხი მოითხოვდა მიწის პრივატიზაციას, სოციალურ თანასწორობას, დემოკრატიულ მმართველობას, სამართლიან საგადასახადო პოლიტიკას, საკუთარი ენისა და ეროვნული იდენტობის დაცვასა და თავისუფლებას. მწვავე კლასობრივი ბრძოლა იყო რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი. მთავრობა იმდენად მოწყვეტილი

იყო ხალხს, რომ ამ კლასობრივ კონფლიქტში ცალსახად იცავდა მემამულეთა ინტერესებს. ხელისუფლების მიერ მოთხოვნების იგნორირებამ ხალხს დამოუკიდებლობისაკენ უბიძგა. ქართულ საზოგადოებას არ გააჩნდა დემოკრატიული მმართველობის გამოცდილება და 1905 წელს შექმნილი პოლიტიკური ერთეულების დემოკრატიული პრინციპები საერთო მიზნის გარშემო შემდგარ სახალხო ერთობისა და ბუნებრივი საჭიროებების პირობებში დაიბადა.

რევოლუციის ჩახშობის შემდეგ პოლიტიკური ცხოვრების ცენტრმა რუსეთის იმპერატორის ბრძანებით მოწვეულ სახელმწიფო სათათბიროში გადაინაცვლა. სხვა პარტიებისგან განსხვავებით, ქართველი მენშევიკები ენთუზიაზმით ჩაერთნენ ოთხივე მოწვევის სათათბიროს არჩევნებში და თითოეულ არჩევნებში წარმატებას მიაღწიეს. სტრატეგია, რომელიც გულისხმობდა სათათბიროს თუნდაც შეზღუდული პოლიტიკური ველის გამოყენებას, მათ პოლიტიკურად გაძლიერებაში დაეხმარა. 1910-იანი წლებიდან ასპარეზზე ბრუნდებიან ეროვნულ-დემოკრატები და ფედერალისტების გარშემო ჯგუფდებიან. ავტონომისტების მხარდაჭერამ ფედერალისტებს, ექვსი წლის შემდეგ, სათათბიროში მანდატი მოაპოვებინა.

სათათბიროში მენშევიკებისა და ფედერალისტების მოღვაწეობას შორის ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება საქართველოს ავტონომიის საკითხი იყო, ფედერალისტები საქართველოს ავტონომიას მთავარ პოლიტიკურ მიზნად ისახავდნენ და მასში ხედავდნენ ეროვნული პრობლემების მოგვარების გზასაც, სოციალ-დემოკრატები ისევ ნიჰილისტურად ავტონომიას და თვლიდნენ, რომ ფართო თვითმმართველობა ოპტიმალური გამოსავალი იქნებოდა. მეოთხე სათათბიროს მუშაობას მსოფლიო ომმა მოუსწრო. ამის გამო, ფედერალისტმა დეპუტატმა გელოვანმა ყველა პოლიტიკური მიზანი გვერდზე გადადო და რუსეთის მხარდაჭერა სამშობლოს დაცვასთან გააიგივა. ამის საპირისპიროდ, სოციალ-დემოკრატები განუდგნენ იმპერიალისტურ ომს, რომლის ორივე მხარე მოწინააღმდეგედ მიაჩნდათ. ისინი დარჩნენ ოპოზიციურ ძალად და ქართულ ინტერესებთან ყველაზე ახლოს აღმოჩნდნენ. აღსანიშნავია, რომ 1905 წლის რევოლუციაში პარტიების აქტიურმა ჩართულობამ, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვექტორები შერწყმამ, ხალხის ყურადღება და იმედი პარტიებისკენ მიაპყრო. სხვადასხვა მოწვევის

სათათბიროს მუშაობისას ქართველი დეპუტატები ინტენსიურად აგრძელებდნენ სამანდატო ოლქის მოსახლეობასთან შეხვედრებს მათი პრობლემების მოსასმენად, თავად ხალხიც მათში ხედავდა მხარდამჭერს, მათ მიმართავდნენ დახმარების და მხარდაჭერის აღმოჩენის მიზნით და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, დეპუტატების საპარლამენტო საქმიანობაში და მათ გამოსვლებში გაისმოდა სწორედ ის გამოწვევები, რაც საზოგადოებაში არსებობდა. იმჟამინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება იყო მთლიანად ხალხზე ორიენტირებული.

თავი III

მესამე თავში გამოკვლეულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარება პირველი მსოფლიო ომის დასაწყისიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. შეიძლება ითქვას, რომ დროის ეს მონაკვეთი ქართული პოლიტიკური აზროვნების და ზოგადი ვითარების ერთ-ერთ გარდამტეხ მომენტად იქცა. 1914 წელს საზღვრგარეთ შეიქმნა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი, რომლის მიზანს საქართველოს რუსეთისგან განთავისუფლება, მისი დემოკრატიული გარდაქმნა და კავკასიის კონფედერაციული მოწყობა შეადგენდა. ამისათვის აქტიურად დაიწყო გერმანიასთან, როგორც ომში რუსეთის მთავარ მოწინააღმდეგესთან, ურთიერთობების დამყარების უმნიშვნელოვანესი პროცესი. მაშინ, როდესაც ქართული პოლიტიკური პარტიები პოლიტიკურ გეგმებს წლების განმავლობაში არგებდნენ იმპერიაში არსებულ პოტენციურ შესაძლებლობებს, კომიტეტმა აქცენტი რუსული მმართველობის სრულ მოსპობაზე გააკეთა და ეს ისეთი საგარეო მოკავშირის პოვნით დაიწყო, რომლის ინტერესშიც რუსეთის განადგურება შედიოდა. დიპლომატიურთან ერთად, კომიტეტი აქტიურად მოქმედებდა ბრძოლის ველზე. მათ გეგმებში შედიოდა ქართველების აჯანყება და შეიარაღება, რისთვისაც აქტიურ მუშაობდნენ. კომიტეტის ხელმძღვანელობითა ოსმალეთში ჩამოყალიბდა ქართველებისგან შემდგარი შენაერთი, რომელიც 1915 წლიდან უშუალოდ ფრონტზე იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.

განთავისუფლების კომიტეტის საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლამ იმდენად ასწია პოლიტიკური თამასა, რომ პარტიებს შორის

დაპირისპირების მთავარი საგანი - ავტონომიის საკითხი გაუფასურდა. 1917 წლისათვის უკვე სოციალ-დემოკრატებიც კი ავტონომისტურ პოზიციებზე იდგენენ.

ფრონტზე არსებულმა ვითარებამ საქართველოს დამოუკიდებლობის პერსპექტივა რეალური გახადა. 1917 წელს რუსეთის იმპერიის ჩამოშლის შემდეგ საქართველოში ხელისუფლება აიღო პარტიული კომპოზიციით შექმნილმა ეროვნულმა საბჭომ. ახალმა დღის წესრიგმა ერთი საქმის გარშემო შემოკრიბა დაპირისპირებული პარტიები და გამოცდის წინაშე დააყენა ისინი - შეძლებდნენ თუ არა თანამშრომლობას. მიუხედავად მსოფლმხედველობრივი განსხვავებისა, საბჭოს მუშაობისას იდეოლოგია რეალიზმზე წინ არცერთ პარტიას არ დაუყენებია. დღის წესრიგში მთავარი ადგილი დაიჭირა დამოუკიდებლობამ. ეროვნულ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვდნენ, შესაბამისი საფუძვლის მომზადებას გერმანიის მხარდაჭერითა და ოსმალეთთან მოლაპარაკებების გზით ცდილობდნენ, სოციალ-დემოკრატები კი თავს იკავებდნენ და ბოლომდე ინარჩუნებდნენ რუსეთში დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების იმედს. ამ იმედის გაქარწყლების შემდეგ კი დაბნეულობაში აღმოჩნდნენ და მთავარი აქცენტი ამიერკავკასიის ერთიანობაზე გადაიტანეს. მყიფე ერთობის დაშლის შემდეგ გამოცხადებული დამოუკიდებლობა ისევ ეროვნულ-დემოკრატების კონცეფციის მიხედვით შედგა, რომლის სათავეშიც სოციალ-დემოკრატები აღმოჩნდნენ.

სახელმწიფოს აღდგენას პოლიტიკური სპექტრი მაღალი პასუხისმგებლობით შეხვდა. ეროვნულ საბჭოში მობილიზაციის, ნაციონალიზაციის, აგრარული საკითხებისა თუ სხვა ნებისმიერი მნიშვნელოვანი თემის განხილვის სტენოგრაფიული ჩანაწერები ცხადყოფენ, რომ თითოეული პოლიტიკური სუბიექტი აცნობიერებდა ერთსულოვნების მნიშვნელობას. შეიძლება ითქვას, რომ მეტწილად პოლიტიკოსებისთვის ერთობა პარტიულ პრინციპებზე წინ იდგა, რაც წარსული შეურიგებლობის ფონზე, ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში მნიშვნელოვან მიღწევად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

დისერტაციის მეოთხე, ფინალური თავი ეხება ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების პრაქტიკული განხორციელების ყველაზე მნიშვნელოვან ნაყოფს - საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, კვლევა ნათელყოფს თუ როგორ სახელწმითოს აშენებდა პირველი ქართული დემოკრატია, რა კონცეფციითა და მიზნებით არსებობდა იგი და რა ადგილი ჰქონდა მასში იმ საზოგადოებრივ მისწრაფებებს, რომლებმაც 1905-1918 წლებში ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური დღის წესრიგი და განვითარების ვექტორები განსაზღვრეს.

დამფუძნებელი კრების არჩევნებამდე პირველ რესპუბლიკას კოალიციური მთავრობა მართავდა, განსხვავებული იდეოლოგიური პრინციპების მქონე პარტიებმა პოლიტიკურ შეხედულებებზე წინ ქვეყნის ინტერესები დააყენეს და ხელისუფლებაში შეთანხმება მოახერხეს, სამთავრობო მანდატები გადანაწილდა არა პოლიტიკური კუთვნილების, არამედ კომპეტენციების მიხედვით. რეფორმების ნაწილის განხორციელება კოალიციური მთავრობის დროს დაიწყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება იდეოლოგიასა და რეალურ მოცემულობას შორის იდგა. თუმცა ამ არჩევანის წინაშე ყოფნა მისთვის დილემად არასდროს ქცეულა, რეალობა ყოველთვის დომინირებდა იდეოლოგიურ პრინციპებზე. ფაქტობრივად, ხელისუფლებამ სახელმწიფოებრივ რანგში აიყვანა და რეფორმირების საფუძვლად აქცია ყველა ის გამოწვევა, რაც 1905 წლის რევოლუციამ წარმოაჩინა. რეფორმის შედეგად ხალხმა მიიღო ნანატრი მიწა, მშობლიური ენის თავისუფლება, ეროვნული განათლება, თანასწორობა, სასამართლო, თვითმმართველობა და ა.შ. მიუხედავად ცალკეული ნაბიჯებისა, ქვეყანა მწვავე ეკონომიკური კრიზისის ფონზე არსებობდა და ბევრი კრიტიკული გამოწვევის წინაშე იდგა, თუმცა საზოგადოების ინტერესებით განპირობებულმა პოლიტიკამ ხალხი და ხელისუფლება ბუნებრივ მოკავშირეებად აქცია.

რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური მიზნები ეფუძნებოდა მკაფიო პრინციპს: ძლიერი მოკავშირის პოვნა, დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. საგარეო ურთიერთობებში უნაკლო მეგობრებს არავინ ეძებდა, აյ მიდგომას განსაზღვრავდა მთავარი და გამორკვეული მიზანი თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფისა. სუვერენიტეტის შენარჩუნებაზე იყო აგებული აქტიური რეგიონული

ურთიერთობებიც. დემოკრატიული ხელისუფლება წარმოადგენდა საზოგადოებრივ მისწრაფებებს. პირველმა ქართულმა დემოკრატიამ მკაფიოდ ეროვნული სახელმწიფო შექმნა, სადაც ყველას უფლება თანაბრად იყო დაცული. დემოკრატიული განვითარების უზრუნველსაყოფად კი დაიწყო იმ საფუძვლის მომზადება, რომელიც ქვეყნის ცხოვრებისა და ხელისუფლების შეურყეველ წყაროდ აქცევდა ხალხს.

დასკვნა

კვლევის საბოლოო დასკვნა პასუხს სცემს ნაშრომის შესავალში დასახულ მიზნებს, ამოცანებსა და წამოყენებულ კითხვებს, აჯამებს ცალკეულ თავებში მიღებულ კვლევის საერთო შედეგებს: მე-20 საუკუნეს ქართული საზოგადოება ნაირგვარი პრობლემებით შეხვდა. სოციალური უთანასწორობა, ეკონომიკური გამოწვევები, პოლიტიკური და ეროვნული უფლებების შეზღუდვა საერთო სახალხო პროტესტის მყარ საფუძველს ქმნიდა. მზარდ საზოგადოებრივ მღელვარებაში მოწინავე ადგილი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს ეჭირა, მაგრამ იგი არ ყოფილა ცალკე სოციალური, პოლიტიკური ან ეროვნული მოძრაობა, არამედ კომპლექსური შინაარსის პროცესი, რომელიც აერთიანებდა საზოგადოების მისწრაფებებს სრული თანასწორობის, სამართლიანობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური უფლებებისა და ნაციონალური თავისუფლებისადმი. იმპერიის ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფამ სახელმწიფო და ხალხი ერთმანეთისგან განაცალკევა. კლასობრივ ბრძოლაში ერთ მხარეს აღმოჩნდა გლეხი და მუშა, საპირისპირო მხარეს კი ხელისუფლება, მემამულე და ბურჟუა. ამასთან ერთად, სამართლის არარსებობის შედეგად ხალხში თვითორგანიზებისაკენ სწრაფვის სურვილი გაძლიერდა. მწვავე სოციალურმა სეგრეგაციამ სოციალიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნა და მას ბუნებრივი საყრდენი შეუქმნა.

საუკუნეების მიჯნაზე თანდათან ჩამოყალიბდა პლურალისტური პოლიტიკური გარემო, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ცენტრში ცალსახად ხალხის ინტერესები დადგა. პოლიტიკურ ასპარეზზე სრულად დომინირებდნენ მემარცხენე ძალები, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-

ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატებით წარმოდგენილმა მემარჯვენე ბანაკმა პირველ ეტაპზე პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბება ვერ შეძლო. ოპოზიციაში პარტიების თანხმობა ვერ შედგა, მემარჯვენე და მემარცხენე ძალებს შორის დაპირისპირება იდეოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ საფუძვლებზე მიმდინარეობდა, რაც სრულ ანტაგონიზმში გადაიზარდა. სოციალური კლასების შერიგებისა და ერის უნივერსალური ერთობის იდეით მოღვაწე მემარჯვენეების პოზიცია სრულად მიუღებელი აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატიისათვის, რომელიც ოპოზიციურ პარტიებს შორის ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდა, ისინი თანაბარ მოწინააღმდეგედ აღიქვამდნენ როგორც გარე პოლიტიკურ დამპყრობელს, ისე შიდა ეკონომიკურ ექსპლუატატორს და მიზნად ისახავდნენ არათუ შერიგებას, არამედ კლასობრივი ბრძოლის გაღრმავებასა და მასში მშრომელი ხალხის გამარჯვებას. სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა ყველაზე მისაღები აღმოჩნდა უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი უმრავლესობის აზროვნებისათვის. სოციალისტურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებას კი პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და არსებითად საქართველოს ავტონომიის გარშემო ტრიალებდა. იმუამინდელ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში ავტონომია უმაღლეს პოლიტიკურ სტატუსად ითვლებოდა, ამავდროულად იგი ეროვნული საკითხის ინდიკატორად იქცა. ინტელიგენცია, ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები საქართველოს ავტონომიას მოითხოვდნენ, როგორც ეროვნული უფლებების უზრუნველყოფის საშუალებას, სოციალ-დემოკრატები კი ფართო თვითმმართველობას. ამ უკანასკნელთა აზრით ავტონომია გაბატონებული კლასების ინტერესებს გაამყარებდა. ამასთანავე, სოციალ-დემოკრატების ანტი-ავტონომისტურ პოზიციას ტაქტიკური და პოლიტიკური ასპექტებიც განსაზღვრავდნენ, ისინი 1903 წლიდან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნაწილი იყვნენ და მისგან ჩამოშორებას ტაქტიკური თვალსაზრისით უფრთხოდნენ, მეორე მხრივ, სხვა ქართული პარტიებისგან განსხვავებული ნიშის დაჭრას ცდილობდნენ. მიმდინარე პოლემიკაში მხარეები ერთმანეთს რეგრესისტებად და ანტიეროვნულობად ნათლავდნენ. მენშევიზმა საქართველოში იმდენად ჭრელი საზოგადოება გააერთიანა, რომ პარტიაში ერთი აზრი არც დასაწყისში არსებობდა და მომდევნო წლებშიც ევოლუციის მრავალფეროვანი გზა

განვლო. ქართველი მარქსისტებისთვის რსდმპ-სთან გაერთიანება გაძლიერების ინსტრუმენტი გამოდგა, ინტერნაციონალურმა ერთობამ პარტიას თავიდანვე ფართო მასებში გაუდგა ფეხი, თუმცა ისინი უფრო ორგანიზაციულად იყვნენ დაკავშირებული რუსეთის პარტიასთან, ვიდრე იდეურად. მესამე დასელებში ადრევე დაიწყო ცალკე იდეური ხაზის ჩამოყალიბება, რომელიც სოციალისტურ იდეოლოგიასა და ქართულ რეალობას შორის კომპრომისის საფუძველზე განვითარდა, რის შედეგადაც წარმოიშვა ქართული სოციალიზმი.

ხალხმა და ოპოზიციამ თვითორგანიზებისა და დამოუკიდებლობის პირველი რეპეტიცია 1905 წელს გაიარა. 1905 წლის რევოლუციური მოძრაობა ფართოდ გავრცელდა მთელ საქართველოში. საერთო მისწრაფებები, რისთვისაც ადამიანები იბრძოდნენ, ეხებოდა ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს. ხალხი მოითხოვდა მიწის პრივატიზაციას, აბსოლუტურ სოციალურ და იურიდიულ თანასწორობას, დემოკრატიულ მმართველობას, დემოკრატიული ღირებულებების დაცვას, სამართლიან ეკონომიკურ და საგადასახადო პოლიტიკას და საკუთარი ენისა და ეროვნული იდენტობის თავისუფლებას. მოთხოვნები მთელი საქართველოს მასშტაბით იდენტური იყო. საერთო გამოწვევები ბუნებრივ საფუძველს ქმნიდა საზოგადოების ერთიანობისთვის. პოლიტიკურმა პარტიებმა კარგად გამოიყენეს გარემოებები, მათმა საქმიანობამ აქციებს შედარებით ორგანიზებული სახე მისცა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვექტორები ერთმანეთს შეერწყა. 1905 წლის რევოლუციის დროს საქართველოში რამდენიმე რევოლუციური თვითმმართველობა წარმოიქმნა, მათ შორის გამორჩეულია ე.წ. გურიის რესპუბლიკა, რომელიც სრულად ხალხის ინტერესების შესაბამისად მოეწყო.

ქართულ საზოგადოებას არ გააჩნდა დემოკრატიული მმართველობის გამოცდილება და ეს დემოკრატიული პრინციპები ბუნებრივ გარემოებებში დაიბადა. გურიის რესპუბლიკა წარმოადგენდა გლეხებისა და მუშების სახალხო მმართველობას. მარქსიზმი გლეხობას რევოლუციურ ძალად არ აღიარებდა. თუმცა გურიაში განსხვავება გლეხებსა და პროლეტარიატს შორის პრაქტიკულად არ არსებობდა. ამ რეალობამ ქართველ სოციალ-დემოკრატებს იდეალიზმსა და პრაგმატიზმს შორის კომპრომისი გაუადვილა. სოციალური და პოლიტიკური ვექტორები ეფექტურად

გაერთიანდნენ გურიაში და შექმნეს წარმატების მეტი შესაძლებლობა. ახალი წესრიგი იყო სრულიად დემოკრატიული, საზოგადოება აწყობდა ცხოვრებას საკუთარი ინტერესების შესაბამისად, განხორციელდა მიწის პრივატიზაცია, საერთო საკუთრების სოციალიზაცია, აირჩიეს თანამდებობის პირები, დამყარდა სრული თანასწორობა, გადასახადები გროვდებოდა მოსახლეობის შემოსავლების შესაბამისად და გამოიყენებოდა საზოგადოებრივი ინტერესებისთვის, დაარსდა არჩევითი სასამართლო და ხელმისაწვდომი ეროვნული სკოლა. ეს იყო ქართული დემოკრატიის გარიურაჟი, რომელშიც ყველაზე ცხადად გამოჩნდა საზოგადოებრივი აზრი, ხალხმა შესაძლებლობისთანავე თავისი ინტერესების შესაბამისად მოაწყო ცხოვრება. ქართული დემოკრატია არ შეუქმნია რუსულ ავტოკრატიას, იგი შექმნა ქართველი ერის კონსოლიდაციისა და განვითარების ბუნებრივმა კალაპოტმა. პირველი ქართული პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელობა სრულად იშვა ავტორიტარიზმთან ბრძოლაში, შესაბამისად საზოგადოების და პოლიტიკის მიზნებმა ერთი ტრაექტორიით მოძრაობა დაიწყო, ამან გააძლიერა დემოკრატიული ფუნქციონირების პრინციპები და შეიქმნა ქართული დემოკრატიის საფუძვლები, რომელიც სრულიად თავისუფალი იყო ავტორიტარიზმის ნიშნებისგან. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება ცალსახად ხალხის ინტერესების გარშემო ჩამოყალიბდა.

1906 წლიდან პოლიტიკური ცხოვრების ცენტრმა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბიროში გადაინაცვლა და ხალხის ყურადღებაც მას მიეპყრო. სათათბიროს მოწვევაში პარტიებში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები გააჩინა, ახალი პოლიტიკური ასპარეზის ათვისებას ენთუზიაზმით შეუდგნენ მენშევივი სოციალ-დემოკრატები და ოთხივე მოწვევაში აქტიურად ჩაებნენ, თანმიმდევრულმა მიდგომამ მათ პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში ყოფნისა და პოზიციების კიდევ უფრო გაძლიერების საშუალება მისცა. წინასაარჩევნო კამპანიასა და სათათბიროს მუშაობაში ყველაზე კარგად გამოჩნდა, რომ პოლიტიკურ დღის წესრიგს არა რომელიმე პარტია, არამედ ხალხის საჭიროებები განსაზღვრავდა, პარტიების წარმატება კი საზოგადოებრივი აზრის სწორად აღქმაში მდგომარეობდა, ხალხთან ყველაზე ახლო კავშირი პირდაპირ აისახებოდა პარტიის პროგრესში, ქართველი პოლიტიკოსი თავს ხალხის წარმომადგენლად თვლიდა და ამის საქმით დამტკიცება

პარტიათაშორის შეჯიბრების ერთ-ერთ გადამწყვეტ კრიტერიუმს ქმნიდა. აღნიშნული პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება ხალხის მოთხოვნებისა და სოციალიზმის შეზავების საფუძველზე აღმოცენდა.

სათათბიროში ქართველი დეპუტატების გამოსვლის შინაარსი სრულად იყო აგებული იმ პრობლემებზე, რამაც 1905 წლის რევოლუცია გამოიწვია და ისევ ურთულეს გამოწვევებად რჩებოდა, მათ შორის იყო ეროვნული საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები თავს სრულიად რუსეთის წარმომადგენლად თვლიდნენ, სოციალისტ-ფედერალისტები კი მხოლოდ საქართველოს სახელით გამოდიოდნენ, ეროვნულ პრობლემებს ორთავე ძალის საპარლამენტო მოღვაწეობაში გამოკვეთილი ადგილი ეჭირა. მათ შორის არსებითი განსხვავება იყო ავტონომიის საკითხი, სოციალ-დემოკრატები ბოლო მომენტამდე თავდადებით უარყოფდნენ ავტონომიას. თუმცა ხალხის მსახურის იდეით მოღვაწე ვერცერთი ძალა არსებულ ეროვნულ გამოწვევებს გვერდს ვერ აუვლიდა. სოციალ-დემოკრატებში არსებობდა ჭეშმარიტად ინტერნაციონალისტური სეგმენტიც, მაგრამ პარტიის იდეოლოგები კარგად ხედავდნენ ხალხში ეროვნული საკითხის მნიშვნელობას, გარემოსთან ადაპტაციით გამორჩეულმა ქართველმა მენშევიკებმა კარგად გააცნობიერეს, რომ ამ საკითხს ფართო თვითმმართველობა ვერ მოაგვარებდა და კულტურული ავტონომიის იდეაზე გადაინაცვლეს. მეორე ათწლეულის დასაწყისში მემარჯვენეთა ბანაკი გაძლიერდა და მოცემულობა შეიცვალა, საზღვარგარეთ მოქმედი ეროვნულ-დემოკრატიული ძალები, რომლებმაც 1914 წელს საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი ჩამოაყალიბეს, არათუ საქართველოს ავტონომიის, არამედ დამოუკიდებლობისთვის იწყებენ პრაქტიკულ ბრძოლას, რამაც ავტონომიაზე კამათი გააუფასურა. ამასთანავე, ქართველმა მარქსისტებმა იმდენად მყარად მოიკიდეს ფეხი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ რსდმპ-სთან მჭიდრო სიახლოვის ტაქტიკური მნიშვნელობაც განელდა და თანდათან ისინიც გაავტონომისტდნენ. ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში ორი პოზიცია გამოიკვეთა: ქვეყნის შიგნით მოღვაწენი საქართველოს ავტონომიის იდეით და საზღვარგარეთ მოღვაწენი საქართველოს დამოუკიდებლობის გეგმით.

პირველ მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიის ჩამოშლამ მანამდე რთულად წარმოსადგენი დამოუკიდებლობა რეალური გახადა. ამ საქმისთვის საზღვარგარეთ მოღვაწე განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენელმა ეროვნულ-დემოკრატებმა პირველებმა დაიწყეს პოლიტიკოსების ავტონომისტური ბურუსიდან გამორკვევა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში დამოუკიდებლობის შიში შეინიშნეოდა უკიდურეს მომენტამდე. ამას განაპირობებდა, ერთი მხრივ, მართლაც საფრთხილო გეოპოლიტიკური ვითარება, პოლიტიკურ პარტიებს ახასიათებდათ წინდახედულობა მოქმედებებში და ეს კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა მაშინ, როდესაც ქვეყნის მომავლისთვის მათი გადაწყვეტილებების მნიშვნელობა გაიზარდა, მაგრამ თუ სოციალ-დემოკრატები ელოდნენ ხელსაყრელ ვითარებას, მემარჯვენები ცდილობდნენ სასურველი კონიუნქტურის შექმნას. მეორე მხრივ, ამ შიშში თავისი როლი ჰქონდა მმართველობის გამოცდილებისგან საუკუნოვან მოწყვეტას, სახელმწიფოებრიობის არარსებობასა და მოლოდინის რეჟიმში მყოფისთვის დამახასიათებელ გაუბედაობას.

1917 წელს შეურიგებელი პარტიები თანამშრომლობის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდნენ, პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მარცხმა და რევოლუციამ კავკასიას თავისუფლებისკენ გზა გაუხსნა, საქართველოში ძალაუფლება მრავალპარტიული ეროვნული საბჭოს ხელში გადავიდა. ეროვნული საბჭო იდგა უმთავრესი ამოცანის წინაშე - უზრუნველეყო საქართველოს უსაფრთხო განვითარება, რისთვისაც პარტიებს ანტაგონისტური წარსულიდან ეფექტური თანამშრომლობის ფაზაზე გადასვლა უნდა ეკისრათ. ამ უკანასკნელ მისიას დემოკრატიული მთავრობის ემბრიონმა თავი წარმატებით გაართვა. ეროვნული საბჭოს მუშაობა ზოგჯერ ფრონტს ჰგავდა, თუმცა საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტისას ქვეყნის საჭიროებები პარტიულ მიზნებზე წინ იდგა. ყველა ლოგიკურად ცდილობდა მსოფლიმხედველობრივი პრინციპების დაცვას, იდეოლოგიური პოლემიკა ქართულ პოლიტიკას უფრო სერიოზულ სახეს აძლევდა და შინაარსიანს ხდიდა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ერთობის მნიშვნელობასაც ყველა აცნობიერებდა და მეტ-ნაკლები თანხმობის სივრცეც მოიძებნებოდა, უმრავლესობაში ყოფნა არც სოციალ-დემოკრატებისთვის ქცეულა პრაქტიკულ რეალობაზე წინ იდეოლოგიური მიზნების დაყენების ინსტრუმენტად.

რუსეთის დემოკრატიული გარდაქმნის გულუბრყვილო იმედის გაქარწყლების შემდეგ სოციალ-დემოკრატებიც დაადგნენ დამოუკიდებლობის გზას, დიდი სიფრთხილითა და თავშეკავებით.

ისინი საგარეო და საშინაო საფრთხეების შესამცირებლად ამერიკავკასიურ ერთობას ებლაუჭებოდნენ, ეროვნულ-დემოკრატები დამოუკიდებლობას ჩქარობდნენ. ჯერ ოსმალური, შემდეგ კი დენიკინურ-ბოლშევიკური საფრთხეებისა და შიდა ქაოსის ფონზე კავკასიის ერთიანობის იდეა პრაგმატულად ჟღერდა, თუმცა იდეის დონეზე, რეალობასთან ყველაზე ახლოს კი ეროვნულ-დემოკრატების მისწრაფება აღმოჩნდა. საქართველოს დამოუკიდებლობაც პრაქტიკულად მათივე კონცეფციის მიხედვით შედგა - ძლიერი მოკავშირის მხარდაჭერითა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ხოლო 28 მაისს თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა გერმანიის იმპერიასთან.

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაზა და მთავარი გამოცდა დაიწყო, პოლიტიკური ელიტა თეორიულ-იდეოლოგიური მსჯელობიდან სახელმწიფოს მშენებლობის ეტაპზე გადავიდა. სოციალ-დემოკრატები უმრავლესობაში იყვნენ როგორც ეროვნულ საბჭოში, ისე კოალიციურ მთავრობაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია ავტომატურად ქართული სოციალიზმის ისტორიაა. ერთ დროს საქართველოს ავტონომიაზეც კი რთულად მოფიქრალი სოციალ-დემოკრატები სათავეში ჩაუდგნენ პირველ ქართულ დემოკრატიულ რესპუბლიკისა და დამოუკიდებლობის გუშაგებად იქცნენ. პირველი რესპუბლიკის არსებობის დოქტრინა აგებული იყო თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფაზე. როგორც პოზიციას, ისე ოპოზიციას კარგად ესმოდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებლად სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირე და ამ საკითხში ისინი ისე იყვნენ ერთიანნი, როგორც არსად სხვაგან. იქ სადაც საქმე ეხებოდა ქვეყნის არსებობის, შენარჩუნებისა და მსოფლიოს წინაშე წარდგენის საქმეს, თანამშრომლობა ზეპარტიული ნიშნულიდან მომდინარეობდა. აღნიშნული თვისება, როგორც სახელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკური კულტურის და რაც მთავარია

პასუხისმგებლობის გამომხატველი, მოცემული პერიოდის ქართული პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია.

საერთაშორისო ურთიერთობებში სულიერ მოკავშირეს და გულის მეგობარს არავინ ეძებდა. პრაგმატიზმი ალბათ ყველაზე კარგად აქ იჩენდა თავს და ყველას კარგად ესმოდა, რომ დათმობებისთვის მზად უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ მკაფიოდ იცოდნენ ისიც თუ რა იყო მეორე მხარეს და რისთვის იბრძოდნენ, ეს იყო საქართველოს თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფა. მთავრობა ნეიტრალიტეტის ფორმალური მანტიით ცდილობდა სამხედრო მხარდაჭერისა თუ ძლიერი მანდატორის პოვნას, უსაფრთხოების მიზნით დიპლომატიური სვლების უმაღლეს მიზანს ერთა ლიგაში გაწევრიანება წარმოადგენდა. როგორც მმართველობას, ისე ხალხს ბევრი რამ არ მოსწონდა უცხოელ პარტნიორებსა თუ მანდატორებში. თუმცა უმაღლესი ღირებულების - დამოუკიდებლობის წინაშე ყოველგვარი ანტიპათია გვერდზე იწევდა.

ქართული პოლიტიკური აზრი რეგიონული პოლიტიკის წარმოების საკითხში სრულად ეფუძნებოდა საკუთარი და მეზობელი სახელმწიფოების ინტერესების კომბინაციის პრინციპს, რაშიც მთავარ როლს საკუთარი ინტერესები თამაშობდა და მიზანი საშუალებას ამართლებდა პრაგმატიზმის ფარგლებში. საქართველოს მიდგომას მეზობლურ ურთიერთობებში განსაზღვრავდა არა ქიშპი ან მოძმე-მეგობრული იდეები, არამედ საერთო საჭიროებები. ეს კი იმდენად გამორკვეული საკითხი იყო, რომ საერთო რეგიონული პრობლემების მოგვარებისათვის ქვეყნის ურთულესი შიდა ეკონომიკური გამოწვევების პირობებშიც კი ყოველთვის მოიძებნებოდა მატერიალური რესურსი.

1919 წელს საქართველოს ისტორიაში პირველი დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები ჩატარდა. აბსოლუტურ უმრავლესობაში მოსული სოციალ-დემოკრატები რთული ამოცანის წინაშე იდგნენ, მათ უნდა უზრუნველეყოთ დემოკრატიული განვითარება, საზოგადოების ყველა ფენის ინტერესების დაცვა ისე, რომ სოციალისტური მიზნებისათვის არ ეღალატათ.

საქართველოში კლასობრივი ბრძოლა მშვიდობით დასრულდა, რასაც სამი მიზეზი განაპირობებდა: 1. ხალხის პომოგენური მისწრაფებების შედეგად შექმნილი

დემოკრატიული განვითარების საფუძვლები; 2. ცვლილებებისადმი სურვილის სიმბლავრე და 3. ქართული პოლიტიკური სპექტრის სრულად პროხალხური ძალებით შევსება. კლასობრივი პრობლემა ძალადობის გარეშე მოგვარდა. მართალია სოციალ-დემოკრატები კლასობრივი ბრძოლის იდეით გამოვიდნენ ასპარეზზე, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლისას ისინი არ ქცეულან მუშების ან გლეხების მთავრობად, როგორც ხელისუფალთათვის, მათთვის განყენებული არცერთი სოციალური ფენა არ ყოფილა. ფაქტობრივად, სოციალ-დემოკრატებმა ილია ჭავჭავაძის მთავარი მიზანი განახორციელეს, დემოკრატიზაციის და სრული თანასწორობის მმართველობის უმაღლეს რანგში აყვანის საშუალებით. სრული თანასწორობა პირველი რესპუბლიკის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.

პირველმა რესპუბლიკამ იმდენად რთული მემკვიდრეობა მიიღო, რომ კონკრეტულ პრობლემებზე რეაგირება უფრო ქაოტურად ხდებოდა, ვიდრე ორგანიზებულად, სტრატეგიებზე ფიქრის დრო არავის ჰქონდა. ოპოზიცია მთავრობის საქმიანობას კონტროლს უწევდა, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში ოპონირების მთავარი მიზანი ხელისუფლების ჩანაცვლების სურვილი არასდროს ყოფილა, არამედ ქვეყნისთვის სასიკეთო პოლიტიკის წარმოება მათი რწმენის შესაბამისად. ეს მოცემულობა დამფუძნებელი კრების მუშაობას აჯანსაღებდა, მთავრობისთვის ოპოზიციის მნიშვნელობასაც ზრდიდა და პოლიტიკაში საქმიანი თანამშრომლობის სივრცეს ტოვებდა. ზოგადად, პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტა ახლოს იყო ხალხთან და კარგად იცნობდა მის პრობლემებს, ვინაიდან პოლიტიკოსები სწორედ ამ პირობებსა და საზოგადოებაში ჩამოყალიბდნენ. სოციალ-დემოკრატები იდეალისტებზე მეტად რეალისტები იყვნენ, სოციალიზმსა და არსებული კრიზისის შუა მდგომნი იდეოლოგიასა და პრაგმატიზმს შორის არჩევანისას დილემის წინაშე არასდროს დამდგარან. გადაწყვეტილებებსა და რეფორმებში სოციალიზმი ექვემდებარებოდა პრაქტიკულ საჭიროებებს და არა პირიქით. აგრარული რეფორმა წარმოადგენდა ერთგვარ შუალედურ გამოსავალს გლეხების მისწრაფებებსა და სოციალიზმის საფუძვლის მომზადებას შორის.

ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღმშენებლობის კონცეფცია ეფუძნებოდა დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების პრინციპს,

რომლის მიხედვითაც ხალხს უპირველესად უნდა გაეთავისებინა, რომ იგი წარმოადგენდა ხელისუფლებას და უშუალოდ ყოფილიყო ჩართული მის მართვაში, რისთვისაც განხორციელდა თვითმმართველობის, იგივე ერობის რეფორმა. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და თავისუფალი საზოგადოების უწყვეტი განვითარებისათვის უმთავრესი ყურადღება ეთმობოდა საგანმანათლებლო სისტემას, ამის საფუძველი ხელმისაწვდომ და ეროვნულ განათლებას უნდა შეექმნა, ასევე განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო საზღვარგარეთ სწავლის ხელშეწყობა, ახალი ცოდნისა და გამოცდილების საქართველოში ინტეგრირება. პოლიტიკურმა ელიტამ უაღრესად ეროვნული სახელმწიფო შექმნა, რომელიც ერთი მხრივ, უზრუნველყოფდა ყველას თანასწორობას, პარალელურად კი ქმნიდა კონსოლიდირებული და ეროვნული სახელმწიფოს საფუძველს. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება, მისი ევოლუციის შედეგები და ძირითადი პრინციპები 1921 წლის კონსტიტუციამ შეაჯამა. მიუხედავად ბევრი პრობლემისა, პირველი რესპუბლიკის არსებობამ აჩვენა, რომ ერთიანობის წყალობით შეიძლებოდა მწვავე პრობლემების დაძლევა. მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ჩამოყალიბდა ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების კალაპოტი, რომელმაც შექმნა ქართული პლურალიზმი, თანასწორი საზოგადოების დემოკრატიული განვითარების საფუძვლები და საქართველოს ისტორიაში პირველი რესპუბლიკა, თავისებური, სიღრმისეული და დასაფიქრებელი შინაარსით.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

დისერტაცია 440 ერთეულზე მეტი წყაროსა თუ ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა, რომელთაგან თითქმის სამი მეოთხედი პირველადი წყაროა. დისერტაციის ბოლო 23 გვერდი გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ჩამონათვალს ეთმობა, რომელიც შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

დისერტაციაში გამოყენებული მასალები ცალკეული თავების მიხედვით ასე გამოიყურება:

1. დისერტაციის პირველი თავი, რომელიც ქართული პოლიტიკური პარტიების წარმოშობას ეხება, ძირითადად ეფუძნება სამეცნიერო ლიტერატურასა და პერიოდულ პრესას. ქართული პოლიტიკური პარტიების ისტორია საფუძვლიანადაა გამოკვლეული, ამდენად, ამ თემის ირგვლივ პარტიულ პრესასთან და მემუარებთან ერთად, გამოვიყენეთ დიმიტრი შველიძის, ვახტანგ გურულის, მერაბ ვაჩნაძის, სტივენ ჯონსის, ოთარ ჯანელიძის, შოთა ვადაჭიორიას და სხვათა ფუნდამენტური შრომები. ამასთანავე, მოცემულ თავში გამოყენებულია ოქსფორდის ბოდლიანის ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერები;
2. ნაშრომის მეორე თავში, 1905 წლის რევოლუციისა და შემდგომი პროცესების შესწავლისას უმთავრესად ვეყრდნობით პერიოდული პრესის ფაქტობრივ მასალებს, საარქივო დოკუმენტებსა და მემუარულ ლიტერატურას. ჟურნალ-გაზეთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მოგზაური“, „ამირანი“ და ა.შ., ასევე ცალკეული პარტიების პერიოდული გამოცემები. იმუამინდელი ჟურნალ-გაზეთები გამოირჩევიან ინფორმაციის სიუხვით. ზოგადად, პრესა მრავალფეროვან, სიღრმისეულ და ერთობ საინტერესო მონაცემებს გვაწვდის.

საარქივო მასალების შემთხვევაში, ამ ნაწილში ვეფუძნებით საისტორიო ცენტრალურ არქივში მოპოვებულ მეტად მნიშვნელოვან და საყურადღებო მასალებს, კერძოდ: თბილისის გუბერნატორის კანცელარიის (ფონდი N17), უშიშროების კავკასიისა და თბილისის განყოფილებების, იგივე „ოხრანკის“ (ფონდი N94 და N95) და თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს (ფონდი N153) ფონდებში დაცულ დოკუმენტებს, რომლებშიც დაცულია ცალკეულ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის, ზოგადი თუ კონრეტული მდომარეობის ამსახველი ოციფიალური დოკუმენტაცია.

საარქივო დოკუმენტები და პრესის მონაცემები ედრებიან და ავსებენ ერთმანეთს. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ქართველი დეპუტატების მოდვაწეობის შესასწავლად უმთავრესად გამოვიყენეთ

სათათბიროს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები, რომლებიც სესიების დასრულებისთანავეა გამოცემული და თემის ირგვლივ პირველწყაროს წარმოადგენს;

3. დისერტაციის მესამე და მეოთხე თავებში შესწავლილი საკითხების, კერძოდ საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობის, დამოუკიდებლობის გამოცხადების, პირველი არჩევნებისა და დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების კვლევა განვახორციელეთ ძირითადად საარქივო დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც მიკვლეულია საისტორიო არქივში დაცულ ეროვნული საბჭოს (ფონდი N1836), საარჩევნო კომისიის (ფონდი N1834), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეთა მმართველობის (ფონდი N1861), შინაგან საქმეთა სამინისტროს (ფონდი N1863), საგარეო საქმეთა სამინისტროს (ფონდი N1864), მიწათმოქმედების სამინისტროს (ფონდი N1915), სახალხო განათლების სამინისტროს (ფონდი N1935), სამხედრო სამინისტროს (ფონდი N1969) და ა.შ. ფონდებში.

საარქივო დოკუმენტებში მიკვლეული ზოგიერთი მეტად საინტერესო ცნობა და დეტალი პირველად შემოვა სამეცნიერო მიმოქცევაში. გარდა ამისა, აღნიშნულ შემთხვევაშიც, სრულყოფილად დავამუშავეთ პერიოდული პრესა და საკვლევი თემის ირგვლივ საყურადღებო მასალებს მოვუყარეთ თავი.

1918-1921 წლების საკითხები დიდი ხანია, რაც ქართველი და უცხოელი მკვლევრების განსაკუთრებული ყურადღების საგანია, შესაბამისად, არსებობს მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის ბევრი ეხება ჩვენთვის საინტერესო ცალკეულ საკითხებს, რომელთაგან აღსანიშნავია: დიმიტრი შველიძის, შოთა ვადაჭორიას, ირაკლი ირემაძის, ბექა კობახიძის, გიორგი მამულიას, გიორგი ასტამაძის, მალხაზ მაცაბერიძის, დიმიტრი სილაქაძის, ოთარ ჯანელიძის, სტივენ ჯონსის, სერგო ვარდოსანიძის, ნოდარ ჩხაიძის და ა.შ. წიგნები, დისერტაციები და სამეცნიერო სტატიები. ამდენად, სადისერტაციო ნაშრომში ვიყენებთ შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებს.

ყველაფერთან ერთად, აღსანიშნავია მემუარული ლიტერატურა, რაც საინტერესოდ ავსებს დანარჩენ წყაროებსა და მონაცემებს, მათგან აღსანიშნავია გრიგოლ ურატაძის, თენგიზ ჟლენტის, ნოე ჟორდანიას, გიორგი ლასხიშვილის, რევაზ გაბაშვილის და სხვათა მოგონებები.

კვლევის განვითარების შესაძლებლობა გრძელვადიან პერსპექტივაში

ისტორიის ცალკეული საკითხების კვლევა თეორიულ თუ სამეცნიერო მნიშვნელობასთან ერთად საზოგადოებრივ დატვირთვას იძენს, როდესაც კვლევა იმ ისტორიულ პროცესებს ეხება, რომლებმაც ერისა და სახელმწიფოს ბედი განსაზღვრეს და რომლის გააზრება-გაანალიზების მნიშვნელობაც თეორიულ ჩარჩოებს სცდება. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში იმპერიალიზმის პირობებში ყალიბდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვექტორები, რომლთა ევოლუციაც საქართველოს ხანგრძლივ ისტორიაში პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამდე მივიდა. იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების, მისწრაფებებისა და ფასეულობების კვლევა კი, რომელმაც ერის ისტორიაში დემოკრატიული მშნებელობის და რთულ გეოპოლიტიკურ მოცემულობაში არსებობის პირველი გამოცდილება შექმნა და, ამავდროულად, ეს ქვეყნის უახლოეს წარსულს ეხება, ვფიქრობთ, დღესაც აქტუალურია და საზოგადოებრივ დონეზე გააზრებას საჭიროებს, როგორც ისტორიული გაკვეთილი და სამომავლოდ გასათვალისწინებელი გამოცდილება.

ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოდგენილი დისერტაცია 1905-1921 წლების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მეცნიერული კვლევის პირველი შემთხვევაა და იგი ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი ინტერესების გაღვივებას, განსაკუთრებით კი იმ ფონზე, რომ საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური განვითარებულმა მოვლენებმა, ვიდრე თამედროვე ისტორიამდე, კიდევ ერთი მეტად საყურადღებო და, ალბათ, საისტორიო მეცნიერებისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ჩამოაყალიბდა, რომელიც თეორიულთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელია. დისერტაციით წარმოდგენილი კვლევა კი საფუძველს შექმნის იმისათვის, რომ

სამომავლოდ შესწავლილ იქნეს საბჭოთა პერიოდისა და დამოუკიდებლობის შემდგომი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების საკითხი და დინამიკაში წარმოჩნდეს ეს პროცესი თავისი მიზეზ-შედეგობრივი ასპექტებითა და მახასიათებლებით, როგორც ისტორიული გამოცდილების ანალიზი.

აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, ვიმედოვნებთ, რომ კვლევას გრძელვადიანი განვითარების ხელჩასაჭიდი პერსპექტივა ექნება.

სადოქტორო დისერტაციის ფარგლებში შესრულებული კვლევის შედეგები ასახულია დოქტორანტის მიერ ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში 2023-2025 წლებში გამოქვეყნებულ შემდეგ სამეცნიერო სტატიებში (ფრჩხილებში მითითებულია სამეცნიერო ბაზები, რომლებშიც ინდექსირებულია კონრეტული ჟურნალები):

1. ბაციკაძე გიორგი. 2025. „პარტიული პოლარიზაცია და თანამშრომლობის პარადოქსი: პოლიტიკური თანაცხოვრების შტრიხები საქართველოში 1917-1919 წლებში“. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, No XIII: 148-162. (ERIH PLUS);
2. ბაციკაძე გიორგი. 2025. „ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ცვლილება მეფისნაცვალ ვორონცოვის მმართველობის შემდეგ“. „მუზეუმი და გლობალიზაცია“, II: 25-36. <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.005> (Google Scholar);
3. ბაციკაძე გიორგი. 2025. „ქართული სოციალ-დემოკრატიის ზოგადი ხასიათი და პირველი ნაბიჯები ბათუმში“. შვიზოვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე 2 (2):99-111. <https://doi.org/10.61671/bsrcc.v2i2.8665> (ERIH PLUS);
4. ბაციკაძე გიორგი. 2024. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლური პოლიტიკა : ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიასთან (1918-1921)“. აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე 7 (2):215-37.

Batsikadze, Giorgi. 2024. "Eastern Policy of the Democratic Republic of Georgia: Relations With the North Caucasus (1918-1921)". *Herald of Oriental Studies* 7 (2):238-56. <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.8276> (ERIH PLUS);

5. Batsikadze Giorgi. 2024. „Public Opinion and Nature of Anti-Russian Movements in Georgia in the First Third of the 19th Century“. *Balkanistic Forum (Балканистичен Форум) Volume XXXIII, issue 1/33*: pp. 50-57. [DOI: 10.37708/bf.swu.v33i1.4](https://doi.org/10.37708/bf.swu.v33i1.4) (SCOPUS, WEB OF SCIENCE, ERIH PLUS);
6. ბაციკაძე გიორგი. 2023. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ნეიტრალიტეტი“. მუზეუმი და გლობალიზაცია: II საერთაშორისო კონფერენციის მასალები: 34-40. DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.04> (Google Scholar).

Legal Entity under Public Law - Batumi Shota Rustaveli State University

Faculty of Humanities

Department of History, Archaeology and Ethnology

Giorgi Batsikadze

The Development of Georgian Socio-Political Thought (1905-1921)

Abstract of the Dissertation

**Submitted in Partial Fulfillment of the Requirements
for the Degree of Doctor of Philosophy (Ph.D.) in History**

Batumi

2025

The Dissertation Work has been carried out at the Department of History, Archaeology, and Ethnology, Faculty of Humanities, Shota Rustaveli State University of Batumi

Scientific Supervisor: **Otar Gogolishvili**

Doctor of History, Professor at Batumi Shota Rustaveli State University

Reviewers: **Jemal Karalidze**

Doctor of History, Professor at Batumi Shota Rustaveli State University

Sulkhan Kuprashvili

Doctor of History, Professor at Kutaisi Akaki Tsereteli State University

Levan Jikia

The Head Specialist of the Scientific Department of the National Archive of Georgia; Invited Lecturer at Sokhumi State University

The defense of the dissertation will take place on 26 December, 2025, at 16:00 o'clock, at the session of the Dissertation Committee established by the Dissertation Council of the Faculty of Humanities at Shota Rustaveli State University of Batumi.

Address: 35/32 Ninoshvili/Rustaveli St., Batumi.

The dissertation is available for review at the Ilia Chavchavadze Library of Shota Rustaveli State University of Batumi, and the abstract of the dissertation can be accessed on the University's website: www.bsu.edu.ge

Secretary of the Dissertation Council: Dr. of Philology, Professor M. Kikvadze.

Research Aim and Relevance

Several issues in Georgia's history during the early 20th century, especially during the Democratic Republic of Georgia (1918–1921), have long interested both Georgian and foreign scholars. Ideological groups that emerged at the turn of the century directly influenced the formation of the democratic state. These groups established the basis of Georgian politics and the democratic state.

The research aims to explore the development of Georgian socio-political thought between 1905 and 1921, and to address the following questions:

- What were the political parties fighting for?
- What role did public opinion and the social reality of the time play in their actions?
- How and for what reasons did socio-political thinking evolve?
- And what kind of state was the first Georgian democracy seeking to build?

The study of Georgian socio-political thought from 1905 to 1921 is significant from both theoretical and practical perspectives. During this period, the first political parties were established, and a path of social development was formed that, for the first time in the history of Georgian statehood, created a pluralistic and democratic state. The First Republic, with its degree of freedom, democratic values, and civic character, remains remarkable even today in the Georgian context. It was shaped by a society and political spectrum whose mutual interactions defined the essence of that state.

At the same time, two of the most important events in Georgia's modern and contemporary history are the existence of the Democratic Republic of Georgia from 1918 to 1921 and the restoration of independence in 1991. The First and Second Republics share many commonalities in terms of state-building and foreign relations. Democratic development, party coexistence, the interaction between state authorities and society, the recurrence of similar approaches, goals, and principles in international affairs, and the influence of certain features of socio-political thought on historical processes are issues whose evaluation, analysis, and

consideration are not only beneficial but sometimes essential for the present day. This underlines the practical relevance of the topic.

Furthermore, this research is the first comprehensive analysis of Georgian socio-political thought in the early 20th century. It examines the public and political ambitions that influenced major historical events, clarifies the importance of these ideas for scholars, and provides a solid foundation for future studies in this field.

Methodology

This study primarily aims to examine the relationship between the ideologies and activities of Georgian political parties and broader social aspirations. To achieve this, the research analyzes the political programs and objectives of the parties, while also closely studying public opinion, popular demands, and the key issues that emerged from this analysis. This allows us to assess the alignment between social and political vectors, the extent to which public aspirations influenced the actions of political parties, and the factors shaping the evolution of socio-political thought.

The study employs historicism, data analysis, and comparative methods, which provide the tools to address the research questions. Finally, the research analyzes how recent Georgian socio-political ideas were put into practice by examining their outcomes in the context of the Democratic Republic of Georgia. This analysis focuses on the key issues that most clearly illustrate the type of state the first Georgian democracy sought to build. This approach enables a concrete evaluation of socio-political thought by assessing the goals and actions of the political elite, their responsiveness to public demands, and the historical outcomes that followed.

Scientific Novelty

Unlike previous centuries, Georgian socio-political thought in the early 20th century has not been studied at a scholarly level. This doctoral dissertation represents the first

comprehensive attempt to investigate the topic, offering new insights to the academic community and laying the groundwork for future research in this area. Additionally, the study offers a fresh and original perspective on overlooked aspects of the 1905 revolution. It delivers an in-depth analysis of issues such as autonomy and the national question, the factors that led to the evolution of political parties, the character of their activities, and how these aligned with both domestic social thought and the broader international context. The research traces, step by step, the processes that directly influenced the development of socio-political thought, offering a cause-and-effect analysis of the secular and state-related outcomes.

In the final chapter, the dissertation presents an original examination of the conceptual framework for building the Democratic Republic of Georgia, the vectors of social development, the characteristics of the socio-political elite, key challenges, and historically significant examples. The study introduces a wealth of previously unknown and highly valuable material to scholarly discourse, drawing from archival documents and periodicals. Among the roughly 450 sources and references used, nearly three-quarters are primary sources, including 100 archival documents, significantly enriching the understanding of the historical issues of the period under study.

Development of the Idea

The study develops the idea that public opinion clearly shaped the vectors of political party activity, which in turn reflected popular demands within the political sphere. The study argues that public opinion directly influenced the direction of political party activity, ensuring that parties responded to popular demands. In Georgian political thought, the aspirations of society were more influential than ideology itself. The development of socio-political thought was significantly influenced by the international situation. Even against the backdrop of antagonistic ideological conflicts between parties, avenues for cooperation could be found; state interests contributed to the formation of Georgian political culture. The Democratic Republic of Georgia was founded on the social demands and aspirations that had begun to emerge at the start of the century. The First Republic was established according to a well-

defined concept: it was a clearly national state, grounded in the development of a democratic and free society.

Sources and Literature

The dissertation draws on approximately 450 sources, including 102 archival documents and manuscripts, 195 periodical publications, 34 Georgian and foreign documentary materials published at different times, 80 monographs, books, dissertations, and memoirs, as well as more than 30 scholarly articles. The history of Georgian political parties has been thoroughly studied; therefore, alongside party press and memoirs, we also used fundamental works by Dimitri Shvelidze, Vakhtang Guruli, Merab Vachnadze, Steven Jones, Otar Janelidze, Shota Vadachkoria, and others.

For the study of the revolution and subsequent processes, the research primarily relies on factual material from periodical press, archival documents, and memoir literature. Noteworthy periodicals and newspapers include *Iveria*, *Tsnobis Purtseli*, *Mogzauri*, and *Amiran*, among others. Contemporary journals and newspapers stand out for the depth and variety of their information. In terms of archival material, this study relies on highly significant and noteworthy documents obtained from the Central Historical Archive of Georgia, specifically the following funds: the Tiflis Governor's Chancellery (Fund No. 17), the security departments of the Caucasus and Tiflis, also known as the "Okhrana" (Fonds No. 94 and No. 95), and the Tiflis Guberniya Gendarmerie Directorate (Fund No. 153). Archival documents and press materials complement and reinforce each other.

To study the activities of Georgian deputies in the Russian State Duma, we primarily used the stenographic reports of the Duma sessions, published immediately after each session and serving as primary sources on the subject.

Research on the work of the National Council of Georgia, the declaration of independence, the first elections, and the years of the Democratic Republic was conducted mainly based on archival documents preserved in the Historical Archive, including the National Council (Fund No. 1836), the Election Commission (Fund No. 1834), the

Administration of the Affairs of the Democratic Republic of Georgia (Fond No. 1861), the Ministry of Internal Affairs (Fond No. 1863), the Ministry of Foreign Affairs (Fond No. 1864), the Ministry of Agriculture (Fond No. 1915), the Ministry of Public Education (Fond No. 1935), the Ministry of Military Affairs (Fond No. 1969), and others. Some of these documents contain highly interesting information and details being presented in scholarly discourse for the first time.

In addition, the periodical press has been thoroughly analyzed, and noteworthy materials related to the research topic have been systematically collected. The issues of 1918–1921 have long been a focus of both Georgian and foreign researchers, and as such, a diverse body of scholarly literature exists, including studies addressing specific questions relevant to this research. Accordingly, the dissertation incorporates data from this scholarly literature. Memoir literature is also notable, providing valuable complementary insights; particularly important are the recollections of Grigol Uratadze, Tengiz Zhghenti, Noe Jordania, Giorgi Lashkishvili, Revaz Gabashvili, and others.

Structure

The dissertation comprises 223 pages. The introduction outlines the research topic, objectives, and tasks, and discusses the content, significance, and relevance of the chosen subject, as well as the historical period under study and the events associated with it. It also reviews the existing state of research, along with the sources and scholarly literature on which the study is based. The introduction concludes with an acknowledgment section, expressing gratitude for the support received during the research process.

The dissertation consists of four chapters and thirty-four subchapters and paragraphs. Its structure follows the objectives and tasks set out in the introduction. Each chapter is followed by a concluding section, while at the end of the dissertation there is a comprehensive conclusion and a list of references and literature used.

Taking into account the specificity and content of the research subject, the dissertation is organized as follows:

Foreword

Chapter I. The Emergence of Political Parties in Georgia

I.1. Social Democrats

I.2. Socialist Federalists

I.3. National Democrats

I.4. Socialist Revolutionaries

I.5. Anarchists

Conclusion

Chapter II. From the 1905 Revolution to the First World War

II.1. Nature and Scale of the Revolution

II.2. Demands and Aspirations

II.3. The “Revolution” in the Church (1905–1912)

II.4. After the Revolution

II.5. The Problem of Autonomy

II.6. The “State” within the State: The Republic of Guria

II.7. The First State Duma (1906)

II.8. The Second State Duma (1906)

II.9. The Third Duma (1907–1912): Internationalists Fighting for National Interests

II.9.1. The Election

II.9.2. In the Duma

II.10. Opposition Outside the Duma (1907–1912)

II.11. The Fourth State Duma (1912–1917): A Political Exam for the Federalists

II.12. The Issue of “*Khiznebi*”

Conclusion

Chapter III. The New Balance of Power: Towards Independence

III.1. National Democracy

III.2. National Forces Abroad

III.3. Autonomy: From Discord to Agreement

III.4. Activities of the National Council: Unexpected Independence

Conclusion

Chapter IV. The Path of the Democratic Republic of Georgia (1918–1921)

IV.1. Under the Mantle of Neutrality

IV.1.1. International Goals

IV.1.2. Active Regional Policy

IV.2. Political Coexistence at Home and Abroad

IV.3. The State Built by the First Georgian Democracy

IV.3.1. Main Threats and Security

IV.3.2. Agrarian Reform: The Social Democratic Solution

IV.3.3. Education: Patriotic Traits for Building the Future

IV.3.4. The National Question

IV.3.5. Public Attitudes

IV.3.6. The Framework of Georgian Democracy: The 1921 Constitution

Conclusion

Final Conclusion

Sources and Literature

Chapter I. The Emergence of Political Parties in Georgia

The first chapter examines the history, essence, political programs, and objectives of Georgian political parties and ideological circles. Around the turn of the 19th and 20th centuries, various ideological currents gained strength in Georgia, leading to the formation of

several political parties and laying the foundation for a diverse and pluralistic environment. Studying this period allows us to address the first research question: what goals did the first Georgian political parties pursue, and where did the people fit within these goals?

During this period, socialism emerged as a particularly influential current. It intertwined with local social realities and began to take shape as a distinct form of Georgian socialism, which followed a unique evolutionary path. This movement prioritized class struggle and effectively opposed the national concept promoted by public figures known since the late 19th century as the “Tergdaleulebi,” who sought to reconcile different social classes.

The majority of ideological currents in the socio-political sphere were left-wing. Among these, the most prominent were the Social Democrats, Socialist-Federalists, and Socialist-Revolutionaries (SRs). On the right, the National Democrats represented the ideological line of the “Tergdaleulebi.” Unlike socialist parties, which supported class struggle, the National Democrats advocated for the reconciliation and unification of all social classes.

Georgian Social Democrats and SRs aligned themselves with their respective Russian counterparts, which integrated them into the broader political movements across the Russian Empire. Only the Federalists established an independent Georgian party. While generally holding leftist positions, the Federalists aimed to position themselves as the most right-leaning faction of the left wing, thereby adopting a more nationally oriented approach.

Notably, in both theoretical and practical terms, all parties placed central importance on the interests of ordinary working people. Parties connected their activities to the fight against social injustice, with the primary goal of protecting people’s rights and improving their living conditions. Even the most right-leaning parties limited their political programs to the autonomy of Georgia. The demand for full independence, despite Georgia being a country occupied by Russia, and the fact that this struggle, alongside social issues, was a response to violent subjugation, was still associated with separatism.

Attempts to find common ground among Georgian political forces at this stage largely failed. Moreover, the confrontation between the left and right wings reached the level of complete antagonism. Social Democrats, oriented toward class struggle, considered the

reconciliation of social classes impossible. They subordinated the national question to social and economic problem-solving, unlike the Federalists and National Democrats, who approached political activity under the banner of national interests.

Additionally, for the Social Democrats, autonomy in a context of weak social development was a means of maintaining the dominance of the noble elite. The resulting confrontation escalated into mutual recriminations. The publicist wars between ideological camps labeled the autonomists as defenders of feudal interests, while Social Democrats were branded as internationalists.

Chapter II. From the 1905 Revolution to the First World War

The second chapter focuses on the period from 1905 to the outbreak of the First World War. It examines public opinion and provides a detailed analysis of societal aspirations, popular problems, and demands. After studying these issues, the dissertation analyzes the alignment between public opinion and political party activity, their place in social life, and the factors shaping political action. This allows us to address the next research questions: what role did public opinion and social reality play in political activity, and how and why did socio-political thought develop?

The events of this period offer the clearest and most tangible means to study these questions. Investigating the causes and nature of the 1905 revolution provides a vivid picture of the aspirations present in society, the issues that concerned the people, and the struggles they engaged in. A thorough study of this period also enables an assessment of political party activity, which evolved both during and after the revolution.

The revolutionary movement of 1905 spread widely across Georgia. Social inequality, economic policy, and national oppression generated public dissatisfaction and laid the groundwork for revolution. The activities of political parties gave this protest a relatively organized form, blending social and political vectors. The scale of the popular revolution shifted Georgian Social Democrats from idealistic approaches to a realistic orientation, placing

them at the forefront of the workers' and peasants' movement and significantly increasing their prestige and influence.

